

1 2013


ხედი

სამყარო

შურნალი ახალგაზრდებისათვის

2013

ნაბი საყვარელი





პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი

ლევან ბერკენიშვილი

ქართველი ვარ და ჩემი სამშობლო, საქართველო, მიყვარს. ამავე დროს, როგორც ქართველს, ჩემი ხალხი, ჩემი ქართველები მიყვარს. სიყვარულს რა სჯობს, მაგრამ მაინც, რა უფრო სწორია – სამშობლოს სიყვარული თუ მშობელი ხალხის სიყვარული? რა უფრო ზუსტი სამიზნეა ჩემი გულწრფელი სიყვარულისთვის – სამშობლო თუ ხალხი?

სამშობლოს, მამულს ბერძნულად „პატრის“ ჰქვია, ეს სიტყვა მომდინარეობს სხვა – „პატერ“ სიტყვისაგან, რაც „მამას“ ნიშნავს; ესე იგი, ბერძ-



ნული სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, „მამულია“. „პატრის“ სიტყვიდან იწარმოება „პატრიოტეს“, რომელიც სიტყვასიტყვით „სამშობლოელს“, „მამულელს“, „მამულის კაცს“, „თანამემამულეს“ ნიშნავს; შესაბამისად, ტერმინი „პატრიოტიზმი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „თანამემამულეობას“. ამჟამად ქართულ ენაში ტერმინი „პატრიოტიზმი“ აღნიშნავს სამშობლოს სიყვარულს. შესაბამისად, პატრიოტიზმი არის ერთ-ერთი მთავარი ადამიანური გრძნობის, სიყვარულის განსაზღვრული სახესხვაობა.

ამრიგად, პატრიოტიზმი სამშობლოსადმი სიყვარულის ამალღებული გრძნობაა. პატრიოტიზმიდან განსხვავებით, ნაციონალიზმი გრძნობა არ არის, ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, ანუ იდეების,

შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად, სახელმწიფოში) მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული. ამ იდეოლოგიის მიხედვით, ერი, ანუ „ნაცია“, არის საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილი და ქვაკუთხედი. ლათინური წარმოშობის სიტყვა „ნაცია“ აღნიშნავს ენით, კულტურით, ეთნოსით, წარმომავლობითა და ისტორიით გაერთიანებულ ხალხს, რომელსაც, როგორც წესი, აქვს საერთო ტერიტორია და ხელისუფლება. რომ გავამარტივოთ, ნაციონალიზმი აღნიშნავს იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც ნაციას, ანუ ერს, აქვს პრიორიტეტი სხვა ერთეულებთან (მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობებთან, იმიგრანტებთან ან მოქალაქეობის არმქონე პირებთან) შედარებით.

პატრიოტიზმი თუ ნაციონალიზმი? საქართველო უფრო მნიშვნელოვანია თუ ქართველები? თუ ორივე? იქნებ – არც ერთი? აი, ამ საკითხის გასარკვევად არის დაწერილი ეს პატარა წერილი.

დავინწყით „სამშობლოს“ ცნებით. ბავშვობიდან ვიცნობთ ამ სიტყვას და განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს მის მიმართ. მოდი, ვცადოთ, უბრალო სიტყვებით ვთქვათ, რა არის სამშობლო. უპირველეს ყოვლისა, სამშობლო არის ქვეყანა; მაგრამ ეს ნებისმიერი ქვეყანა კი არ არის, ესაა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, ანუ ეს არის ის კულტურული და გეოგრაფიული გარემო, რომელშიც ჩამოყალიბდა მშობელი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობა. ეს იმას ნიშნავს, რომ **საქართველო არის კულტურული სივრცე და გეოგრაფიული ტერიტორია, რომელზეც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა ქართველი ხალხი, როგორც ერი, როგორც თვითმყოფადი, სხვებისგან განსხვავებული და თავისებური ნაცია.**

რაკი სამშობლო ჩვენი ქვეყანაა, რომელშიც ჩვენ ჩამოვყალიბდით, როგორც სხვებისგან განსხვავებული ხალხი, და რაკი ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ჩვენი ენა, კულტურა, ისტორია და ფსიქიკური წყობა და რაკი სწორედ ამ ქვეყნის სიყვარულია პატრიოტიზმი, ეს სიყვარული ეხება როგორც ტერიტორიას, ისე კულტურულ სივრცეს და ამ სივრცეში ჩამოყალიბებულ ხალხსაც, მის ენასაც, ასევე თავისებურებას, ნაციონალურ თავგადასავალს, ანუ ერის ისტორიასაც.

ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, **პატრიოტიზმი არის საკუთარი ქვეყნის სიყვარული, რაც ნიშნავს საკუთარი მიწა-წყლის, საკუთარი ხალხის, საკუთარი ენის, საკუთარი თავისებურებების, საკუთარი ისტორიის სიყვარულს.**


ნაციონალიზმის შემთხვევა განსხვავებულია. ნაციონალიზმის შემთხვევაში საკუთარი ნაციისადმი კუთვნილება ხდება არა სიყვარულის ან სიძულვილის საფუძველი, არამედ პოლიტიკური პრინციპი ან პოლიტიკური პროგრამა. პოლიტიკურ პროგრამას უწოდებენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიისა თუ პარტიათა კოალიციის მიზნებისა და პრინციპების გააზრებულ ჩამონათვალს. ამგვარად, ნაციონალიზმს სხვა განზომილება აქვს, ვიდრე პატრიოტიზმს, რომელიც გულისხმობს თავისი სამშობლოსადმი და ნაციისადმი კუთვნილების გრძნობას, რაც არ არის დაკავშირებული პოლიტიკური მოქმედების რომელიმე პროგრამასთან. ძალიან ხშირად „ნაციონალისტების“ უმეტესობა აყალიბებს პროგრამას, რომელიც განკუთვნილია საკუთარი ნაციისთვის, მაგრამ ხშირად არ შეესაბამება სხვა ნაციების ან იმავე ნაციაში ეთნიკური უმცირესობების სასიცოცხლო ინტერესებს (მაგალითად, არ ითვალისწინებს მათი ენის, კულტურის განვითარებას, სათანადო პატივს არ სცემს მათ რელიგიას და ა.შ.). სწორედ ამის



ევენ დელაკრუა (ფრანგი მხატვარი, 1798-1863, ფრანგული რომანტიზმის ფუძემდებელი), თავისუფლება ბარიკადებზე (1830) თავისუფლების ალეგორიულ ფიგურას ხელში უჭირავს ახალი საფრანგეთის სიმბოლო, სამფეროვანი დროშა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.

გამო ზოგიერთები ნაციონალიზმს ცარიელ ბოთლს ადარებენ: ფორმა არის, შინაარსი არ არის. შეიძლება ითქვას, უმრავლესობისთვის ნაციონალიზმს, როგორც ფორმას აქვს მნიშვნელობა, ხოლო უმცირესობისთვის მნიშვნელობა ექნებოდა იმ შინაარსს, რომელიც ამ ფორმაში ვერ მოექცა. მაგალითად, ინდოეთში დამოუკიდებლობის მიღებამდე ინდოეთის ნაციონალური კონგრესის პარტიამ ნაციონალიზმის იდეების წყალობით შეძლო ფორმალურად და არა შინაარსობრივად გაეერთიანებინა ისეთი განსხვავებული პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ჯავაჰარლალ ნერუ (რეფორმატორი, რომელსაც გონივრული დაგეგმარებისა სწამდა), კრიშნა მენონი (ორთოდოქსი მარქსისტი) და მაჰათმა განდი (ინდუისტი ასკეტი, რომელიც ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა). ზუსტად ასე, 1918 წლის 26 მაისსაც და 1991 წლის 9 აპრილსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ქართული ნაციონალიზმის სახელით ხელი მოაწერა პარლამენტში წარმოდგენილმა ყველა პოლიტიკურმა ძალამ – მათ შორის მემარჯვენეებმაც, მემარცხენეებმაც, კონსერვატორებმაც, ლიბერალებმაც და იმ ადამიანებმაც, რომელთაც საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა იმ მომენტისთვის არც ჰქონდათ გარკვეული.

ნაციონალიზმის სხვადასხვა სახეობას ერთი საერთო ნიშანი აქვს: ამ ნიშნის მიხედვით, ნაციონალურ კუთვნილებას უპირატესობა აქვს ამა თუ იმ კლასის, რელიგიისა თუ რასისადმი კუთვნილებასთან შედარებით. შესაბამისად, მთავარია, ფრანგი იყო და მნიშვნელობა არ აქვს, მუშა ხარ,



მაჰათმა განდი (1869-1948)



ჯავაჰარლალ ნერუ (1889-1964)

კაპიტალისტი ხარ, ქრისტიანი ხარ, მაჰმადიანი ხარ, ათეისტი ხარ, თეთრ-კანიანი ხარ, შავკანიანი თუ ყვითელკანიანი. ნაციონალიზმის თვალსაზრისით, საყოველთაოდ ცნობილი ტიერი ანრი, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი ფეხბურთელია და მხოლოდ ამის შემდეგ მილიონერი, შავკანიანი, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი.

ნაციონალიზმის ერთ-ერთი მიმართულება შეიძლება ზოგადად დავახასიათოთ, როგორც „რომანტიკული“ ნაციონალიზმი. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის ევროპაში დამკვიდრებულ განმანათლებლობის ეპოქას უნივერსალიზმი და რაციონალიზმი ახასიათებდა.

უნივერსალიზმი არის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური ბედნიერება უმნიშვნელოა, თუკი ადამიანს არ გააჩნია სამყაროსთან, ანუ „უნივერსთან“ (ესაა „სამყაროს“ ლათინური სახელი) სოლიდარობის შეგრძნება, რაც შესაძლებელია მხოლოდ კანონების გააზრებით და დაცვით.

რაციონალიზმი კი ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელიც გონებას (ლათინურად – „რაციოს“) მიიჩნევს ადამიანის აზროვნებისა და მოქმედების საფუძვლად და მისი ყველა სასიცოცხლო მისწრაფების კრიტერიუმად.



იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803)



სენეკა (ძვ.წ.54-ახ.წ. 39)

სწორედ ამ უნივერსალიზმსა და რაციონალიზმზე რეაქციას წარმოადგენდა გერმანული რომანტიკული ნაციონალიზმი.

რომანტიკული ნაციონალიზმი არის ნაციონალური წარსულისა და კულტურის გაიდელებისკენ სწრაფვა, რაც ახასიათებდა რომანტიზმის გვიანდელ ფაზას. ევროპის ისტორიაში რომანტიკული ნაციონალიზმის ხანა გრძელდებოდა ნაპოლეონის ომების დასასრულიდან (1814) პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე (1914). ეროვნული გრძნობის მოზღვავებამ წარუშლელი კვალი დატოვა ევროპულ ისტორიაში, ხოლო გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გამოიწვია ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება.

„რომანტიკოსების“ აზრით, ადამიანების გაგება უფრო იოლია იმ ენობრივი, კულტურული და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით, რაც მათ აკავშირებთ გარკვეულ ტერიტორიასთან, ვიდრე საერთო საკაცობრიო თვისებების კონტექსტში. ამრიგად, ფუძემდებლური ღირებულებები, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებას და მისი ყოფის გარემოს არის ლოკალური და არა საერთო-საკაცობრიო.

რომანტიკული ნაციონალიზმის მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი იყო იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, რომელიც ლაპარაკობდა თითოეული ხალხისთვის მნიშვნელოვან „სახალხო სულზე“. ეკონომიკური მხარე ამგვარი ნაციონალიზმისა იმ რწმენაშია, რომ უმნიშვნელოვანეს ნაციონალურ რესურსებს მხოლოდ ეროვნული სტრუქტურები უნდა ფლობდნენ. რომანტიკული ნაციონალიზმის პოლიტიკური გამოხატულება თვითგამორკვევის პრინციპია. თვითგამორკვევის პრინციპი მიმართულია პოლიტიკური ცხოვრების ისეთ მოწყობაზე, რომელიც აყალიბებს ეროვნულ სახელმ-

ნიფოს. ამ პრინციპის მიხედვით, ხალხი აყალიბებს საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოს. ეროვნული სახელმწიფო კი ესაა სუვერენული ერთობა, რომელშიც ჭარბობს ერთი ნაცია. ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ძალაუფლება, როგორც მოქალაქეთა ერთიანობისა და ნების ბუნებრივი განხორციელება, შემძლეა შექმნას მყარი საფუძველი კანონიერი მთავრობისთვის. მეორე უპირატესობა, დიდი ამერიკელი პოეტის, რობერტ ფროსტის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმაში მდგომარეობს, რომ „კარგი ღობე კარგ მეზობლებს ქმნის“.

მართლაც, როდესაც ხალხი საკუთარ საზღვრებში თავს ეკონომიკურად და კულტურულად უსაფრთხოდ გრძნობს, იგი თავის თავში უფრო დარწმუნებულია და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ხალხებთან მოლაპარაკებასაც უფრო კეთილგანწყობილად და მეგობრულად ატარებს, უფრო მეტადაა განწყობილი გონივრული კომპრომისებისა და ურთიერთსასარგებლო დათმობებისადმი.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ნაციონალური სახელმწიფო ყველა რთულ კითხვას ვერ სცემს პასუხს. ამგვარი სახელმწიფოს დიდი ნაკლი ის გახლავთ, რომ იგი ზუსტად არასოდეს არ შეესაბამება არსებულ რეალობას.

ხალხები მსოფლიოში არ არიან გადანაწილებული მკვეთრად გამიჯნული ნაციონალური ტერიტორიების მიხედვით და ნაციონალურ სახელმწიფოებში ყოველთვის არიან უმცირესობები, რომლებიც პრობლემებს ქმნიან და თავის თავში შეიძლება ფარულ დამანგრეველ ძალებსაც კი მოიცავდნენ.

ანუ ისე არ არის მსოფლიო მოწყობილი, რომ უნგრელები მხოლოდ უნგრეთში ცხოვრობდნენ, სომხები მხოლოდ სომხეთში ან ქართველები მხოლოდ საქართველოში. მაგალითად, რუმინეთში ცხოვრობს უნგრული უმცირესობა (მოსახლეობის 6,6%), ბულგარეთში ცხოვრობს თურქი უმცირესობა (მოსახლეობის 8,2%), საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში ცხოვრობს რუსული უმცირესობა, მათ შორის, საკმაოდ მნიშვნელოვანიც, მაგალითად, ესტონეთში რუსული დიასპორა მოსახლეობის 25,6%-ს შეადგენს, ლატვიაში – 27,8%-ს.

1914-1918 წლების ომის შემდეგ მოხდა მასობრივი დემოგრაფიული მიგრაცია, მოსახლეობის „გაცვლა“ საბერძნეთსა და თურქეთს შორის (პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საბერძნეთიდან თურქეთში გაიქცნენ თურქები და, პირიქით, მანამდე თურქეთის მცხოვრები ბერძნები საბერძნეთში გადასახლდნენ); 1939-1945 წლების ომის შემდეგ მოხდა გერმანელების

გადასახლება პოლონეთიდან; ასევე მოსახლეობის მტკივნეული „გაცვლა“ მოხდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის კონფლიქტის დროს. ვერც ერთმა ამ იძულებითმა მიგრაციამ პრობლემა საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა და იგი ნაკლებად მტკივნეული ვერ გახადა.

ზოგიერთ შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო რთულადაა. მთელ ევროპაში მცხოვრებ ბოშებს ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ქურთებს საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფო, რომელსაც ისინი ერთადერთ სამშობლოდ აღიქვამდნენ. ამავე დროს, ეს ხალხები სხვადასხვაგვარ სტრატეგიას მიმართავენ. ქურთები საკუთარი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად თავგამოდებით იბრძვიან, ხოლო ბოშები საერთო სამშობლოს საკითხს არც კი განიხილავენ.

ჯერ კიდევ სენეკამ (რომაელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე) თქვა, „სამშობლო იმიტომ კი არ გვიყვარს, რომ დიდია, არამედ იმიტომ, რომ ჩვენია“. მიუხედავად ამისა, ძალიან ხშირად ბევრს უნდა, რომ მისი სამშობლო უფრო დიდი იყოს. რას ნიშნავს ეს სიდიდე? ხშირად ეს, უბრალოდ, მეტ ტერიტორიას ნიშნავს. საქართველოს სახმელეთო საზღვრით ოთხი ქვეყანა ესაზღვრება და ოთხივეს უკავია ტერიტორია, რომელიც ოდესღაც, ისტორიის რომელიღაც პერიოდში, ჩვენი საკუთრება იყო (ტაო-კლარჯეთი – თანამედროვე თურქეთში, საინგილო, ანუ კახი

და ზაქათალა – დღევანდელ აზერბაიჯანში, ლორე – სომხეთში, სოჭი – რუსეთში). აქ, ყველგან, დარჩენილია ჩვენი ყოფნის კვალი, ტოპონიმიკის (ადგილთა დასახელების), ჰიდრონიმიკის (მდინარეთა სახელების), ეკლესიების, ციხე-სიმაგრეებისა თუ სხვა მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლების სახით. შესაბამისად, ჩვენი სამშობლო დედამიწაზე ორ განსხვავებულ ადგილს იკავებს: ერთია ის, რომელიც მას ახლა უჭირავს, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მიერ, ხოლო მეორე ის, რომელიც მოიცავს ყველა ტერიტორიას, რაც მას ოდესმე დაუკავებია (თანაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ერთ დროში მომხდარიყო). შესაბამისად, ჩვენს გონებაში საქართველოს ორი რუკაა. ერთია ის რუკა, რომელზეც ასახულია საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში (აქ იგულისხმება ის ტერიტორიებიც, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ამჟამად ვერ აკონტროლებს); მეორე კი გახლავთ ის რუკა, რომელიც შესაძლოა დროსა და სივრცეში არასოდეს არ ყოფილა სწორედ ასეთი, მაგრამ მას უკავია ის სივრცე, რომელიც ოდესმე, თუნდაც მცირე ხნით, ჩვენი სამშობლოს შემადგენელი ნაწილი ყოფილა. ამ „რუკაზე“ ჩვენი კულტურული ნაკვალევი სრულიად მკაფიოა. პატრიოტიზმი გულისხმობს, რომ ეს სახელებიც და ეს ძეგლებიც ჩვენ ისევე გვიყვარს, როგორც ის სახელები და ძეგლები, რომლებიც ჩვენს ამჟამინდელ ტერიტორიაზეა. სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გვკარნახობს, რომ ამ მატერიალური და არამატერიალური კულტურის ჩვენეულ ძეგლებს აუცილებლად უნდა მივხედოთ და ვუპატიროთ.

სწორედ აქ საქმეში ერთვება ნაციონალიზმი. სწორედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპების გათვალისწინებით, ნაციონალიზმის, ანუ, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი მიდგომის გათვალისწინებით, ამ ძეგლთა დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგით. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლებასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს ხანგრძლივი პოლიტიკური დიალოგი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით (იგულისხმება ჩვენი ქვეყნისთვის უზარმაზარი კულტურული მნიშვნელობის ისტორიული ძეგლები ოშკი, ხანძთა, ბანა, იშხანი, პარხალი და სხვ.).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მოქალაქისთვის სასარგებლოა როგორც პატრიოტიზმი, ისე ნაციონალიზმი, თუკი ორივე ზომიერად იქნება წარმოდგენილი. პატრიოტიზმი, როგორც სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, არ შეიძლება უსაზღვრო იყოს. პატრიოტიზმს აქვს თავისი საზღვარი და ამ საზღვარს ჰქვია ადამიანი, ინდივიდუუმი. სამშობლოს სიყვარული ესაზღვრება ადამიანის პატივისცემას, მის უფლებებს, მის თავისუფლებებს. არ შეიძლება პატრიოტიზმის სახელით შეიზღუდოს ადამიანი და მისი უფლებები. ასევე ზღვარი აქვს ნაციონალიზმსაც. იგი,



როგორც იდეოლოგია, ასევე შეზღუდული უნდა იყოს და მისი უკიდურესი გამოვლინებები არ უნდა იქნეს დაშვებული. ნაციონალიზმსაც ისევე, როგორც პატრიოტიზმს თავისი „აღვირი“ აქვს, მაგალითად, ასეთი აღვირი შეიძლება იყოს ეთნიკური უმცირესობების ინტერესები.

შესაბამისად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი ორი ურთიერგანსხვავებული ცნებაა, რომლებიც ადამიანისა და მისი სამშობლოს ურთიერთობებს განსაზღვრავენ. პატრიოტიზმი გრძნობაა, ხოლო ნაციონალიზმი – იდეოლოგია. ორივე მათგანი სასარგებლო და კარგია, თუკი გამოყენებულია ზომიერად და არ აზიანებს ერთ შემთხვევაში კერძო ადამიანს და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ეთნიკური უმცირესობების უფლებებსა და თავისუფლებებს.

ჩვენს თავდაპირველ მსჯელობას რომ დავუბრუნდეთ, დასკვნა ასეთია: სამშობლო, რა თქმა უნდა, უნდა გვიყვარდეს, მაგრამ ამ სიყვარულის სახელით ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფლებას, საკუთრებას და ბედნიერებისკენ სწრაფვას ზიანი არ უნდა მიადგეს. შეიძლება უფრო მარტივადაც ვთქვათ: „სამშობლო“ დიდი ცნებაა, მაგრამ „ადამიანზე“ დიდი ცნება არ არის. მეორე მხრივ, ზომიერი და გააზრებული ნაციონალიზმი სასარგებლო და კარგია, მაგრამ იგი არ ნიშნავს, რომ რომელიმე ერთი ნაცია (მაგალითად, ქართველები საქართველოში) სხვა ნაციაზე უკეთესი, აღმატებული ან ღირსეულია. ნაციონალიზმის ყველაზე სწორი გააზრებისას ნაცია სხვადასხვა ეთნოსისგან შედგება და სახელმწიფოს ამოცანაა,

შესაბამისად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი ორი ურთიერგანსხვავებული ცნებაა, რომლებიც ადამიანისა და მისი სამშობლოს ურთიერთობებს განსაზღვრავენ. პატრიოტიზმი გრძნობაა, ხოლო ნაციონალიზმი – იდეოლოგია. ორივე მათგანი სასარგებლო და კარგია, თუკი გამოყენებულია ზომიერად და არ აზიანებს ერთ შემთხვევაში კერძო ადამიანს და ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ეთნიკური უმცირესობების უფლებებსა და თავისუფლებებს.

ეს ეთნოსები ამ დებულებას ნებაყოფლობით აღიარებდნენ. შესაბამისად, ქართული ნაცია შედგება ეთნიკური ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსების და სხვებისაგან, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და თავის ერთადერთ სამშობლოდ სწორედ საქართველოს განიხილავენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც პატრიოტიზმი ყალბადაა გაგებული და გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი ადამიანის თავისუფლების, მისი არჩევანის უფლების წინააღმდეგ, როდესაც ესა თუ ის მოღვაწე თავის ბინძურ პოლიტიკურ განზრახვებს მომხიბვლელი პატრიოტიზმის სასაჩუქრე შესაფუთ ქალაქში ახვევს, როდესაც სამშობლოს სიყვარულის სახელით სურთ გაამართლონ ძალადობა, უზნეობა და ა.შ., გაიხსენებენ ხოლმე XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი პოეტის, ესეისტისა და მორალისტის, სემუელ ჯონსონის ცნობილ ფორმულას, რომ პატრიოტიზმი „არამზადების უკანასკნელი თავშესაფარია“.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: პატრიოტიზმიც კარგია და ნაციონალიზმიც, ოღონდ – ზომიერად. მხოლოდ ზომიერი პატრიოტიზმი და ზომიერი ნაციონალიზმია კარგი და სამაგალითო. უზომო და წრესგადასული პატრიოტიზმი ადამიანის, როგორც ინდივიდუუმის უფლებებს და თავისუფლებებს ემუქრება, ხოლო უკიდურესი ნაციონალიზმი – უმცირესობების სასიცოცხლო უფლებებს და თავისუფლებებს უქმნის საფრთხეს.



პატრიოტიზმიც კარგია და ნაციონალიზმიც, ოღონდ – ზომიერად. მხოლოდ ზომიერი პატრიოტიზმი და ზომიერი ნაციონალიზმია კარგი და სამაგალითო. უზომო და წრესგადასული პატრიოტიზმი ადამიანის, როგორც ინდივიდუუმის უფლებებს და თავისუფლებებს ემუქრება, ხოლო უკიდურესი ნაციონალიზმი – უმცირესობების სასიცოცხლო უფლებებს და თავისუფლებებს უქმნის საფრთხეს.



პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

საქართველოში 4000-ზე მეტი სოფელი, 150-ზე მეტი ქალაქი და დაბაა, სადაც ასი ათასობით სკოლის მოსწავლე ცხოვრობს. სწორედ ეს ახალგაზრდები ჩაერთვებიან სულ მალე საქართველოს განვითარების საქმეში, ბევრი მათგანი კი, ალბათ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საზოგადოებასა თუ სახელმწიფო სამსახურში.

ნებისმიერი საზოგადოება უნდა ცდილობდეს უკეთესი მომავალი თაობის აღზრდას, რომელიც წინა თაობების მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ დოვლათს არა მხოლოდ შეინარჩუნებს, არამედ გაზრდის და გაამდიდრებს კიდევ. სწორედ ამიტომ უნდა აქცევდეს განსაკუთრებულ ყურადღებას განვითარებული საზოგადოება და ბრძენი ხელისუფლება ბავშვების აღზრდასა და განათლებას. ადამიანი პიროვნებად ბავშვობიდან ყალიბდება, მისი ზნეობა და ცოდნა თავისთავად არ მოდის. ამას ემსახურება სკოლა, საბავშვო ლიტერატურა, აღზრდისა და კულტურის დაუფლების სხვადასხვა გზა. ვფიქრობთ, ამ მხრივ, მომავალი მოქალაქეების, მოღვაწეებისა და ლიდერების აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოზარდებისათვის განკუთვნილი საკითხავი ლიტერატურა.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ცდილობს საკუთარი ადგილი მონახოს თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში. ახალბედა სახელმწიფოსთვის ეს ადვილი საქმე არ არის. ქვეყანას სჭირდება განათლებული და სწორად აღზრდილი ადამიანები, რომლებიც ძალასა და ცოდნას არ დაიშურებენ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისა და წინ წაწევისათვის. ამისათვის კი, ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ხელი მიუწვდებოდეთ კარგ წიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებზე, სადაც მათთვის საინტერესო საკითხებსა თუ თემებს მიაგნებდნენ თუ აღმოაჩენდნენ.

საქართველოში იყო რამდენიმე მცდელობა, გამოცემულიყო მოზარდებისათვის განკუთვნილი ჟურნალი, თუმცა უსახსრობის გამო ეს წამოწყება აღარ გაგრძელებულა.

წინამდებარე ჟურნალი, რომელსაც „ჩემი სამყარო“ დავარქვით, დიდი ხნის სურვილის ერთგვარი რეალიზაციაა. ეს უფროსკლასელთათვის განკუთვნილი გამოცემა, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა თემა, ეპოქა, პრობლემა, ვფიქრობთ, ვარკვეულწილად დაეხმარება დაინტერესებულ ახალგაზრდებს, რომ გაიღრმავონ ცოდნა, გაეცნონ ახალ-ახალ თემებსა და საკითხებს ან, თუნდაც, სხვაგვარად დაინახონ მათთვის კარგად ნაცნობი მოვლენები თუ პიროვნებები. ეს, ვფიქრობთ, იქნება მათი თვალთახედვის გაფართოების ერთგვარი საშუალება.

აქვე გვინდა გამოვხატოთ ჩვენი დიდი მადლიერება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმართ, რომელიც დიდი შემართებით შეხვდა ჩვენს წამოწყებას და საკუთარ თავზე აიღო კვარტალური ჟურნალის გამოცემის ხარჯები.

ამრიგად, უფროსკლასელთა სამსჯავროზე გამოგვაქვს „ჩემი სამყაროს“ პირველი ნომერი იმ იმედით, რომ მალევე შეიძენს ერთგული მკითხველების დიდ წრეს.

ალექსანდრე რონდელი



საპარტოვოს სტრატეგია და საპარტოვოს უპირატესობათა კვლევის უცნობი

